„ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა N19 საცხოვრებელი სახლის დამხმარე ფართობზე მოქალაქე ელეონორა გვიშიანისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მერის 2012 წლის 19 ივნისის N652 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ.ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა N19 საცხოვრებელ სახლში მცხოვრები მოქალაქე ელევნორა გვიშიანის განცხადება /2012 წ. 11.07 Nგ–5428/, რითაც ითხოვს ქალაქ ქუთაისის მერის 2012 წ. 19.06 N652 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა N19 საცხოვრებელი სახლის დამხმარე ფართობზე მოქალაქე ელეონორა გვიშიანისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მერის 2012 წლის 19 ივნისის N652 ბრძანებაში და ნაცვლად მითითებული საკუთრების უფლების მოწმობის ნომერი „/2009 წ.08.05.N122/–ისა“ იკითხებოდეს საკუთრების უფლების მოწმობის ნომერი „/2009წ.08.05 N112/“.

2. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი — გ.თევდორაძე